

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** ინგლისური ფილოლოგია

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი / MA in Philology

**პროგრამის ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი მ. გელაშვილი  
კონსულტანტი სრული პროფესორი მ. რუსიეშვილი

**სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ენობრივი სპეციალიზაცია შეიქმნა თსუ ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე 1996წ. ეს პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან: ინგლისური ენა და ინგლისური ლიტერატურა. სწავლა 2010 წლიდან მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე.

სამაგისტრო მოდულის ენობრივ სპეციალიზაციაში გათვალისწინებულია კემბრიჯის უნივერსიტეტში არსებული: ა) ინგლისური ენის ფაკულტეტის და ბ) ინგლისური ენისა და გამოყენებითი ლინგვისტიკის კვლევითი ცენტრის (ჩამბრიდგე უნივერსიტე. ფაცულტე ოფ ენგლისჰ. დესერტჰ ჩენტრე ფორ ენგლისჰ ანდ აჰპლიედ ლინგვისტიკს) მაგისტრატურის თეორიული საგნების ნუსხაც დასახელებული ამ წყაროებიდან არის გადმოღებული იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული არცერთი თეორიული საგანი არ უნდა გამეორდეს მაგისტრატურაში. ანალოგი პროგრამა კემბრიჯის უნივერსიტეტიდან: ენგლისჰ ანდ აჰპლიედ ლინგვისტიკს. ჰტტპ://www.რცეალ.ცამ.აგ.უკ/

ინგლისური ფილოლოგიის მიმართულება კურირებს ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრატურის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალიზაციას, რომელიც სასწავლო პროგრამით ითვალისწინებს: ა) თეორიულ საგნებს ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში და ბ) პრაქტიკული ინგლისური ენის ასპექტებს, რომელთა მიზანია კემბრიჯის მაღალი დონის სერტიფიკატისთვის (F1) მზადება.

პრაქტიკული ინგლისური ენის კურსი მაგისტრატურაში გულისხმობს საუნივერსიტეტო ცოდნის სიტუაციათა შესაბამისად, დროულ ლიმიტში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამ კურსის გავლის სასურველი წინაპირობაა ბაკალავრიატში სწავლისას კემბრიჯის სერტიფიკატის FFE მოსამზადებელი პროგრამის დაუფლება.

სპეციალიზაცია ინგლისურ ლიტერატურაში ითვალისწინებს თეორიული საგნების სწავლებას ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის სფეროში. პროგრამა ეყრდნობა ოქსფორდის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამას ლიტერატურის ისტორიაში.

**მიზნები:** მაგისტრატურის კურსი ინგლისურ ფილოლოგიაში ითვალისწინებს მაღალკვალიფიციური და მრავალმხრივი სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ შეეძლებათ დამოუკიდებლად გააგრძელონ სწავლა და იმუშაონ სამეცნიერო სფეროში, შეეძლებათ იმუშაონ მაძიებლად სკოლებში, სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, მასწავლებლებლად. ასევე წარმატებით შეუძლიათ იმუშაონ მთარგმნელებად და თარჯიმნებად ნებისმიერ სფეროში.

**შედეგები:** სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ საუნივერსიტეტო განათლების II საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაცია ენიჭებათ სტუდენტებს, რომლებსაც:

- აქვთ საფუძვლიანი ცოდნა როგორც ინგლისურ ენაში, ისე ინგლისური ენის თეორიასა და ინგლისურენოვან ლიტერატურის ისტორიაში, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება და აღრმავებს ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებულ სპეციალურ განათლებას.

- შეუძლიათ მიღებული ცოდნის წარმატებული პრაქტიკული გამოყენება მათთვის ახალ გარემოში
- შეუძლიათ თავიანთი მოსაზრებების საჯარო წარდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება
- აქვთ კრიტიკული აზროვნების ჩვევები

**სწავლის გაგრძელების საშუალება:** გააგრძელოს სწავლა და სამეცნიერო მუშაობა დოქტურანტურაში ამავე ან მომიჯნავე სპეციალობებით:

**დასაქმების სფეროები:** ჩვენი კურსდამთავრებულები მუშაობენ: ინგლისურ ენოვან გაზეთებსა და ჟურნალებში რედაქტორებად, ტელევიზიებში მთარგმნელებად, ანალიტიკოსებად, კორესპონდენტებად. საელჩოებში, სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში თარჯიმნებად, ექსპერტ-ანალიტიკოსებად, რეფერენტებად.

მამიებლებად სკოლებში; სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში მათ უფლება აქვთ იმუშაონ სკოლაში.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი სპეციალობით ფილოლოგია.
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

**განსაკუთრებული მოთხოვნა:**

გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან ინგლისურ ენაში იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც არა აქვთ ბაკალავრის ხარისხი ინგლისურ ფილოლოგიაში

სასურველია კონკურსანტს მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული სამეცნიერო კონფერენციაში სამუშაო გამოცდილება არ არის სავალდებულო

**შესასვლელი გამოცდა** ტარდება ინგლისური ენის თეორიასა და ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში. ენის თეორიის საგამოცდო პროგრამაში სამი თეორიული საგანია შემდეგი დისციპლინებიდან: ინგლისური ენის ისტორია; თეორიული გრამატიკა, ლექსიკოლოგია. გათვალისწინებულია ორი საკითხი ინგლისური ლიტერატურის ისტორიიდან. ინგლისური ენის თეორიის საკითხები ბარდება ინგლისურ ენაზე; ინგლისური ლიტერატურის ისტორიის საკითხები შეიძლება ჩაბარდეს ქართულ ენაზეც. გამოცდა ენის თეორიასა და ლიტერატურის ისტორიაში წერითია.

ასევე გათვალისწინებულია ზეპირი გასაუბრება, რომელიც გულისხმობს წინასწარ მომზადებული ლინგვისტური მონოგრაფიიდან (100-120გვ.) გამომცდელის მიერ შერჩეულ საკითხზე პროფესიულ მსჯელობას ინგლისურ ენაზე (გამოცდის ეს ნაწილი ცვლის რეფერატს)

სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს (Benchmark Statements: English and related subjects, 2007 )

სამაგისტრო პროგრამა ინგლისურენოვანია. იგი შედგება 120 კრედიტისაგან. ააქედან სამაგისტრო პროგრამის სასპეციალიზაციო საგნებისათვის განსაზღვრულია **20** კრედიტი, **40** კრედიტი ეთმობა ინგლისური ენისა და ლიტერატურის ნაწილების სასპეციალიზაციო საგნებს, რომლებიც ნაწილდება სამ სემესტრზე; **30** კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც მაგისტრანტი მეოთხე სემესტრის ბოლოს იცავს. დანარჩენი **30** კრედიტი სტუდენტს ეძლევა არჩევითი საგნებისათვის, რომლების ასევე სამ სემესტრზე ნაწილდება.

ფორმა 1

## სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

| №   | სასწავლო კურსის დასახელება  | სასწავლო კურსის სტატუსი:<br>სავალდებულო,<br>არჩევითი | კრედიტების<br>საერთო<br>რაოდენობა |
|-----|---|--|-----------------------------------|
| 1.  | ინგლისური ენა   | სავალდ.  | 10                                |
| 2.  | დასავლეთ ევროპის<br>ლინგვ. აზროვნების ისტორია და ლინგვ.<br>ცვლილებათა მექანიზმები | სავალდ.  | 10                                |
| 3.  | მნიშვნელობის პრობლემა ინგლისურში<br>(ლექსიკური სემანტიკა. პრაგმატიკა)             | სავალდ.  | 10                                |
| 4.  | ახალი დისციპლინები ლინგვისტიკაში<br>(სოციოლინგვისტიკა. ტექსტის<br>ლინგვისტიკა)    | სავალდ.  | 10                                |
| 5.  | სემასიოლოგია  | არჩევითი   | 5                                 |
| 6.  | ბრიტანულ და აშშ კულტურათა<br>შეპირისპირებითი ანალიზი                              | არჩევითი   | 5                                 |
| 7.  | კომუნიკაციური ლინგვისტიკა   | არჩევითი   | 5                                 |
| 8.  | დისკურსის ანალიზი   | არჩევითი   | 5                                 |
| 9.  | მეტაფორის თეორია  | არჩევითი   | 5                                 |
| 10. | პრაგმატიკა და დისკურსი  | არჩევითი   | 5                                 |
| 11. | თანამედროვე ინგლისური დრამა   | სავალდებულო  | 60/65                             |
| 12. | ამერიკული ლიტ. ფილოსოფ. და ისტ.<br>კონტექსტში                                     | სავალდ.  | 5                                 |
| 13. | ინგლისური რომანი II მსოფლიო ომის<br>შემდეგ  | სავალდ.  | 5                                 |
| 14. | ინგლისური ლიტერატურა ჩოსერიდან<br>შექსპირამდე                                     | სავალდ.  | 5                                 |
| 5   | ამერიკული ლიტ. ფსიქოლოგიურ სკოლათა<br>და კონცეფციათა დინამიკაში                   | სავალდ.  | 5                                 |
| 6   | ფოლკნერის რომანის პოეტიკა და<br>მოდერნიზმი  | არჩევითი   | 5                                 |
| 7   | XX ს 20-30 წლების ესსეისტიკა  | სავალდებულო  | 5                                 |
| 8   | მოდერნისტული რომანის პოეტიკა  | არჩევითი   | 5                                 |
| 9   | სამაგისტრო ნაშრომი  | სავალდებულო  |                                   |
|     | <b>სულ</b>  |  | <b>120</b>                        |

### **კვლევითი კომპონენტი**

სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი თემატიკა შეირჩევა თანამედროვე ფილოლოგიის აქტუალური და საინტერესო საკითხებიდან.

### **სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**

მაგისტრანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის ყველა პირობა იქნება შექმნილი. მათ ხელთ იქნება როგორც ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის უმდიდრესი ფონდი, ასევე ბრიტანეთის საბჭოსა და ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის რესურს-ცენტრები, ამერიკანისტიკისა და ევროპათმცოდნეობის მიმართულებების ბიბლიოთეკები.

### **პროგრამაში მონაწილე პერსონალი:**

სრული პროფესორები: მ.რუსიეშვილი, მ. გელაშვილი, ასოც. პროფესორები ნ. ნემსაძე, ც. ხვედელიძე, ნ. დარასელია. მ. თ. მარგალიტაძე.

საპატიო პროფესორი ა. ჭანტურია

მოწვეული პერსონალი: პროფ. ზ. გაჩეჩილაძე, ე. გაბუნია, ე. კირცხალია, თ. ჯაფარიძე; მ. დოქსოპულო.

### **საგამოცდო საკითხები:**

#### **A History of English**

1. Periodization of the History of English.
2. Old English Phonetics.
3. Evolution of the English Phonetic System in the 11-18cc.
4. Nominal System in Old English.
5. Evolution of the Nominal System in Middle and New English Periods.
6. Old English Verb.
7. Evolution of the Verb System in Middle and New English Periods.
8. Development of the National Literary English Language.

### **References**

- .Barber C., The English Language: A Historical Introduction, Cambridge, CUP, 1993.  
 Baugh A. C., Cable T., A History of the English Language, Routledge, 1993  
 Crystal D., Cambridge Encyclopedia of the English Language, Cambridge, CUP 1995.  
 McArthur, T., The Oxford Companion to the English Language, Oxford, OUP, 1996.  
 .Rastorguyeva, T..A., A History of English, Moscow, 'Vissaya Skola', 1983.

#### **English Lexicology**

1. Meaning of Meaning.
2. Polysemy and Homonymy.
3. Synonymy and Antonymy.
4. Morphological Structure of the English Word.
5. Affixation.
6. Conversion. Backformation.

7. Composition.
8. Set Expressions.

**References:**

1. Crystal D., Cambridge Encyclopedia of Language, Cambridge, CUP, 1995.
2. Crystal D., Cambridge Encyclopedia of the English Language, Cambridge, CUP, 1995..
3. Ginzburg R., Khidekel S. S., Knyazeva, G. Y., Sankin A.A. A Course in Modern English Lexicology, Moscow, 'Vissaya Skola', 1979.
4. Jackson H., Amvela E.Z., Words, Meaning and Vocabulary: An Introduction to Modern English Lexicology, Cromwell Press, Trowbridge 2004, on-line ms. google scholar, books on lexicology.
5. Lipka L., An Outline of English Lexicology, Max Niemeyer Verlag Tubingen, on-line ms.
6. McArthur T., The Oxford Companion to the English Language, Oxford, OUP, 1996.
7. Palmer F., Semantics, Moscow, 'Vissaya Skola', 1982.
8. მოწინიძე ნ., ინგლისური ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 'უნივერსალი', 2009.

**ინგლისური ლიტერატურის ისტორია**

1. წინა რენესანსი და ჩოსერის შემოქმედება.
2. შექსპირის კომედიები
3. შექსპირის ტრაგედიები.
4. განმანათლებლობის ძირითადი ეტაპები.
5. სენტიმენტალიზმი და სტერნი.
6. რომანტიზმი და ბაირონის შემოქმედება
7. XIX საუკუნის რეალიზმი და დიკენსის შემოქმედება.
8. Eგსტეტიზმი და ოსკარ უაილდი
9. მოდერნისტული რომანის ძირითადი თავისებურებები.
10. ჯოსისის შემოქმედება.

**ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:**

- The Concise Cambridge History of English Literature. Cambridge, 1970.
- The Oxford History to English Literature. Oxford.
- <http://digital.library.upenn.edu/books/authers.html>
- [www.online-literature.org](http://www.online-literature.org)